<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

,,უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ,,უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ'' საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.03.2014, სარეგისტრაციო კოდი 010120000.05.001.017356) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. **72-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:**
   ,,6. 2024 წლის 31 დეკემბრამდე იკრძალება საქართველოში ბინადრობის ნებართვის არმქონე რუსეთის მოქალაქეების მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა ნასყიდობის ან ჩუქების გზით. ეს აკრძალვა არ ვრცელდება რუსეთის იმ მოქალაქეებზე, ვინც უძრავ ნივთს მიიღებს მემკვიდრეობის საფუძველზე''.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**